899.962.1
7-603

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ისაკო ბუხუტის ძე მეფარიშვილი

# იოანე საბანისძის "აბო ტფილელის წამების
# სახისმეტყველება"

10.01.01 ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი
1996

23
3 04

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რ. სირაძე

ექსპერტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გრ. ფარულავა

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რ. ბარამიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი გ. ალიბეგაშვილი

წამყვანი ორგანიზაცია - თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1997 წლის 18.04. 1 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს Ф 10.01.01C № 2 სხდომაზე.

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1997 წლის 15 მარტს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, პროფესორი ნ. ჭაბიძე

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе



## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა - ძველ ქართულ მწერლობაში, კერძოდ, იოანე საბანის ძის "აბო ტფილელის წამებაში" მრავალი პარადიგმული სახეა, რაც ამ ნაწარმოების ესთეტიკური პოტენციალის მაჩვენებელია. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია მათი წყაროების ძებნა, მაგრამ უმთავრესი მაინც განსახოვნებით წარმოჩენაა. საერთოდაც, ლიტერატურათმცოდნეობას უფრო მნიშვნელოვანი მიზანი რაღა უნდა ჰქონდეს, თუ არა ამა თუ იმ ნაწარმოების არსის წვდომა, ენაში სიტყვის პოტენციის გარდასახვით წარმოჩენა. აი, სწორედ ესაა უმთავრესი, გნებავთ, ერთ-ერთი აქტუალური საკითხი ქმნილებისა.

ი. საბანისძის "აბო ტფილელის წამება" გვიჩვენებს არა მხოლოდ იმას, რომ ყოველ ერს თავისი ისტორიული გზა და კვალი აქვს, არამედ იმასაც, თუ როგორ ვლინდება სიტყვის მადლი უფრორე განსახოვნებაში. სიტყვის სახისმეტყველება განფენილია ენაში, ვითარცა ერთ მთლიან სისტემაში. ამიტომ ვამბობთ: ენაში მოცემულია არა მხოლოდ ის, რაც იყო და არის, არამედ ისიც, რაც მომავალში უნდა გამოვლინდეს. გავიხსენოთ ჰუმბოლდტის სიტყვები: "ენა სულია ერისა". ენაში არის ლოგოსური ბუნება, ენა გამოვლენილი და ენა მიღმური. მხატვრული სახეც ესევეა ეგზოთერული და ეზოთერული, ხილული და უხილავი: ენის მიმართ და, რა თქმა უნდა, ჩვენი შრომის - "აბო ტფილელის წამების" სახისმეტყველება ფიქრი ამ კუთხითაა წარმართული, რამეთუ ენა იოანე საბანისძისა, და არა მხოლოდ მისი, მარადაუხსნადია.

ნაშრომში, როდესაც ვეხებით სახისმეტყველებას, იქვე გვაქვს ამა თუ იმ სიმბოლოს, მხატვრული სახის ბიბლიასთან მიმართება, რაც არ არის შემთხვევითი. მწერლობა და, მითუმეტეს წმიდა მწერლობა, არის ღმერთის სიტყვა, ხოლო ძველ ქართულ მწერლობაში სახისმეტყველების საფუძველზე არის ადამიანური სიტყვა ღმერთზე. საჭიროა თუ არა ჩვენ დღევანდელობას ვაუწყოთ მეტის საიდუმლოება იმავე სახეებით, რომელიც